საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისარლიშვილი რაფიელ პეტრეს ძე

ისარლიშვილი რაფიელ პეტრეს ძე (1843 – 29. XI. 1918, თბილისი), საზოგადო მოღვაწე. ი-ის წინაპრები მესხეთიდან გადმოსახლებულ წარჩინებულ ქართველ კათოლიკეთა წრეს ეკუთვნოდნენ. თბილ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან განათლება ევროპაში მიიღო, სადაც დაეუფლა რამდენიმე უცხო ენას. საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ი. ფართო საზ. მოღვაწეობას ეწეოდა. 1869 გამოსცა თავისივე შედგენილი „სინოპტიკური კალენდარი". 1873 ი-მა ავჭალაში გახსნა უფასო სკოლა ღარიბთათვის. 1875 გამოსცა „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად სურათებით ამერიკულ მეთოდზე სასოფლო სკოლებისათვის". ეს წიგნი ი. გოგებაშვილის „დედა ენის" წინამორბედი იყო.

1900 პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ი. ქართულ განყ-ბას ხელმძღვანელობდა. პავილიონში გამოფენილმა სას.-სამ. ნაწარმმა და ქართ. კულტურის ნიმუშებმა მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. უცხოელთათვის საქართველოს უკეთ გაცნობის მიზნით ი-მა პარიზში ფრანგ. ენაზე გამოსცა ა. ხახანაშვილის „საქართველოს ისტორია". ევროპულმა და ქართულმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო გამოფენაზე ქართ. განყ-ბას. გაწეული გარჯისათვის ი. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მედლითა და დიპლომით დააჯილდოვა.

ი-ის გარდაცვალებას ნეკროლოგი უძღვნა ზ. ჭიჭინაძემ.

ლიტ.: ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ლ., წერილები, თბ., 1981; მ ი ს ი ვ ე , ქართული წიგნის ამაგდარი, თბ., 1985; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ზ., რაფიელ ისარლიშვილი, «საქართველო», 1918, N223.